2014 წლის 2 ივნისის

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.36). სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

ლიანა მასიკაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

ელგუჯა ჩხაიძე- წევრი (სხდომის მდივანი)

ლელა ბუალავა- მონაწილეობას იღებდა ონლაინ რეჟიმში

რამაზ მორჩილაძე- არ ესწრებოდა სხდომას

ვლადიმერ კიკნაძე- არ ესწრებოდა სხდომას

ქეთევან ჯაფარიძე- სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო- 18:00 საათი

დღის წესრიგი:

1. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” სარევიზიო კომისიის 2014 წლის 30 მაისის დადგენილების საფუძველზე შერჩეულ აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წარმომადგენელთან შეხვედრა ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” 2013 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსურ აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით.

სხდომას ესწრებოდა აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წარმომადგენელი, რომელთანაც წევრებმა ერთად განიხილეს აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე ორგანიზაციული თუ სხვა დეტალური საკითხები.

წევრებმა განაცხადეს, რომ სარევიზიო კომისიისთვის მნიშვნელოვანია ფლობდეს ინფორმაციას იმ თვალსაზრისით, იხარჯება თუ არა ასოციაციის ბიუჯეტი მიზანმიმართულად; განხორციელდა თუ არა დაგეგმილ ღონისძიებებთან ერთად ბიუჯეტის სწორი განკარგვა. სარევიზიო კომისიას სჭირდება აუდიტორული კომპანიის მიერ დადებული საპროექტო დასკვნა, რომელსაც გაეცნობიან და შეისწავლიან შენიშვნების თუ კორექტივების დამატების მიზნით. ამის შემდეგ, შესაძლო კორექტივების გათვალისწინებით კომპანიის მიერ წარმოდგენილი დასკვითი ანგარიში გადაეცემა აღმასრულებელ საბჭოს და ამ უკანასკნელის მიერ დასკვნის გაცნობის შემდეგ, სარევიზიო კომისია გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. მათ ასევე განმარტეს, რომ ასოციაციის აუდიტორული შემოწმების საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ერთი თვის ვადაში უკვე მზად იყოს შესაბამისი დასკვნა.

კომისიის წევრი ლელა ბუალავა სხდომაზე მონაწილეობას იღებდა ონლაინ რეჟიმში, რომელმაც განაცხადა, რომ იგი ეთანხმება სხდომაზე წევრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და შესაბამის გადაწყვეტილებას.

შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია სარევიზიო კომისიის პოზიცია. აუდიტორული კომპანია მოამზადებს ხელშეკრულების პროექტს, რომელსაც ორივე მხარის მიერ გაცნობის და შესაძლო კორექტივების შეტანის შემდეგ მოეწერება ხელი და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ დაიწყებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. ასევე, მან დაამატა, რომ კომპანიისთვის მისაღებია ასოციაციის 2013 წლის აუდიტორული შემოწმებისთვის შეთავაზებული ერთვიანი ვადა და ამასთანავე, კომპანია გამოხატავს მზადყოფნას გასცეს სათანადო რეკომენდაციები, რათა მომავალში მინიმუმადე იქნას დაყვანილი ყველა მოსალოდნელი ხარვეზის არსებობა. გარდა ამისა, აუდიტორული კომპანიის მიერ საპროექტო დასკვნის მომზადების შემდეგ, ერთი კვირით ადრე სარევიზიო კომისიასთან ჩაინიშნება აუდიტორული ფირმის შეხვედრა, აღნიშნული დასკვნის გაცნობის მიზნით, ხოლო დადგენილ ვადაში, კომპანია წარმოადგენს უკვე საბოლოო დასკვნას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, წევრების მიერ მიღებულ იქნა შემდეგი

<u>დადგენილება:</u> შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 2013 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული შემოწმება დაიწყოს მ/წ 3 ივნისიდან. აუდიტორული შემოწმების საპროექტო დაკვნა წარმოდგენილ იქნას საბოლოო დასკვნის წარმოდგენამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო საბოლოო აუდიტორული დასკვნის წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს მ/წ 3 ივლისი.

სარევიზიო კომიისიის თავმჯდომარე- ლიანა მასიკაშვილი

წევრი- ელგუჯა ჩხაიძე

წევრი- ლელა ბუალავა